Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№26, თებერვალი, 2024

რესურსების მობილიზაციის სტრატეგია მოძრაობაში „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“

თორნიკე ყრუაშვილი

ეკა ხოფერია

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tornike.kruashvili883@sps.tsu.edu.ge

E-mail: eka.khoperia927@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ხმაურიან და საკმაოდ კომპლექსურ პროცესს, რაც „ნამახვანჰესის“ მშენებლობასა და მის საწინააღმდეგო მასობრივ გამოსვლებს გულისხმობს. ბოლო წლებში განვითარებულმა პროცესებმა საზოგადოებაში „ნამახვანჰესის“ პროექტისა და მისი საწინააღმდეგო მოძრაობის მიმართ ინტერესი გაზარდა.

ნაშრომის ძირითადი მიზანია განსაზღვრა იმისა, თუ როგორ ხდებოდა მოძრაობის მიერ სხვადასხვა ტიპის რესურსების მობილიზება. კვლევის პროცესი დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, კონკრეტულად კი სიღრმისეულ ინტერვიუებზე აღნიშნული მოძრაობის ლიდერებთან და წევრებთან, ასევე პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან, რამაც საკვლევ საკითხზე საკმაოდ ნათელი და საინტერესო სურათი შექმნა.

მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ რესურსების მობილიზაციის სტრატეგია საკმაოდ კომპლექსური და მრავალფეროვანია. შესაძლოა ითქვას, რომ იგი სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: 1. მშვიდობიანი პროტესტი და ამის ფონზე საზოგადოების ინფორმირება; 2. ფართო ფორმალური თუ არაფორმალური კავშირების გაჩენა 3. საზოგადოების კონსოლიდაციისა და მხარდაჭერის ფონზე მატერიალური რესურსების მოპოვება

მართალია, ქართულ აკადემიურ სივრცეში „ნამახვანჰესის“ საწინააღმდეგო მოძრაობა გარკვეულწილად უკვე შესწავლილია და არსებობს აკადემიური ლიტერატურა, თუმცა აღნიშნული ნაშრომი „რიონის ხეობის მცველების“ უწყვეტი პროტესტის ფონზე ახლებურად და განსხვავებულად აანალიზებს რესურსების მობილიზაციის პროცესს

საკვანძო სიტყვები: „რიონის ხეობის მცველები“, „ნამახვანჰესი“, სოციალური მოძრაობა, რესურსები, მობილიზაცია.

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკურ სისტემებში სოციალური მოძრაობები საუკეთესო მექანიზმია სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისთვის. გასული საუკუნეებიდან მოყოლებული გაზრდილია სოციალურ მოძრაობათა რიცხვი, შესაბამისად დღემდე აქტუალურია მათი შესწავლა (Diani, 1992). ამგვარი გაერთიანებების ეფექტური საქმიანობა წარმოუდგენელია ნდობისა და კავშირების გარეშე, რაც პირდაპირ დაკავშირებულია სოციალურ კაპიტალთან (კობერიძე, 2016).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო არ განიცდიდა პროტესტის, აქციებისა და მიტინგების ნაკლებობას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებობს არაერთი მაგალითი, როდესაც ჰესებისა და სხვა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობას მოსახლეობის მხრიდან მასობრივი პროტესტი და წინააღმდეგობა მოჰყვა, რის ნათელ მაგალითსაც ძირითადად რაჭისა და სვანეთის რეგიონებში მიმდინარე პროექტები წარმოადგენს(რეხვიაშვილი, 2017).

საყურადღებოა, რომ ჰესების მშენებლობის საკითხი საქართველოში ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი რეზონანსულობითა და აზრთა სხვადასხვაობით. მაგალითისთვის, გავიხსენოთ „ხუდონჰესი“, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან არის აქტუალური (Dundua & Karaia, 2019). ბოლო პერიოდში მოქალაქეთა განსაკუთრებული ყურადღება „ნამახვანჰესის“ კიდევ ერთხელ "გაცოცხლებულმა" პროექტმა მიიპყრო და საზოგადოებაში მისმა მიუღებლობამ ახალი სოციალური მოძრაობა წარმოქმნა. სოციალური მოძრაობა, „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ სამოქალაქო აქტივიზმის განსაკუთრებული მაგალითია. მოკლე დროში პოლიტიკური პარტიებისა თუ ლიდერების გარეშე, სოციალური კაპიტალის აქტიური მობილიზებითა და მართვით მოქალაქეებმა შეძლეს საერთო მიზნის წინაშე გაერთიანება, ხანგრძლივი (500 დღეზე მეტი) და განგრძობითი პროტესტის ორგანიზება. მოძრაობა აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ეს არის ქვემოდან - ზემოთ პროტესტის მაგალითი, რადგანაც სოციალური მოძრაობა ფორმირდა პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარეშე, ადგილობრივი მოსახლეობისა და მხარდამჭერების აქტიური ბრძოლითა და კოორდინაციით.

მოძრაობის შესწავლის პროცესის მეტი თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია ისტორიული რაკურსის მცირე მიმოხილვა. „ნამახვანჰესის“ პროექტისადმი ინტერესი 2008 წლიდან კიდევ უფრო გაიზარდა, რასაც მოწმობს ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ "გაეცოცხლებინა" საბჭოთა პერიოდში, სტალინის დროინდელი გეგმით გათვალისწინებული პროექტები, რომელთა შორისაც იყო "ნამახვან ჰესი" (მთისამბები, 2021). მოგვიანებით, 2009 წელს, აღნიშნული პროექტისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, რამდენადაც მაშინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა „ნამახვანჰესის“ პროექტის განსახორციელებლად თურქულ-კორეული კომპანიების კონსორციუმთან მემორანდუმს მოაწერა ხელი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2015 წელს გარემოს დაცვის მინისტრმა პროექტის შესახებ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ორსაფეხურიანი, „ტვიში ჰესისა“ და „ნამახვან-ჟონეთი ჰესისგან“ შემდგარი კასკადი უნდა აშენებულიყო. ამავე პროექტით 2017 წელს პროექტის მშენებლობა სწორედ შ.პ.ს „Clean Energy Group Georgia"-მ დაიწყო, რომელმაც მალევე შეიცვალა სახელი, ვინაიდან კომპანიის 90-იანი წილი თურქულმა "ENKA"-მ იყიდა (მთისამბები, 2021). „ნამახვანის“ კასკადის პროექტი რიონის ხეობაში ორი დამოუკიდებელი ჰესის მშენებლობას ითვალისწინებდა. პირველი იყო ქვემო ნამახვანის ჰესი, ხოლო მეორე ზემო ნამახვანი (მთისამბები, 2021).

აღნიშნული კომპანიის მიერ რიონის ხეობაში მძიმე ტექნიკის შეყვანამ და კასკადის მშენებლობისთვის სპეციალური სამუშაოების დაწყებამ, ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 2021 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადებით ირკვევა, რომ ადგილობრივებმა აღნიშნული პროექტის საწინააღმდეგოდ მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ დააფუძნეს. პოსტში ნათქვამია ისიც, რომ მოძრაობა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ მთლიანი მოსახლეობის ეროვნული ინტერების დამცველი იქნებოდა. მალევე, მოძრაობის ჩამოყალიბების პარალელურად, განისაზღვრა კონკრეტული მოთხოვნები**:** 1. კომპანიისთვის ,,Enka Renewables" ხელშეკრულების გაწყვეტა და მათ მიერ ხეობის დატოვება; 2. 2015 წელს გაცემული ყველა ტიპის სამშენებლო

ნებართვის გაუქმება და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას, თანამდებობიდან გადადგომა (კაჭკაჭიშვილი, 2021).

ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალური მოძრაობის წარმოქმნისა და ფუნქციონირების შესახებ არაერთი თეორია არსებობს. მარიო დაიანი მოძრაობების განსაზღვრისას გამოყოფს ოთხ კონკრეტულ ასპექტს: 1. არაფორმალური კავშირები; 2. ნდობა და სოლიდარობა; 3. კონფლიქტური საკითხებისადმი კოლექტიური ქმედება; 4. ინსტიტუციური სფეროს გარეთ განხორციელებული ქმედებები (Hakim & Kosandi, 2018). მარიო დაიანის აზრით, სოციალურ კაპიტალსა და სოციალურ მოძრაობებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. იგი სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ნორმების, კავშირებისა და ურთიერთობების ერთობლიობას, რაც საჭიროა რესურსების მობილიზაციის პროცესში(Diani, 1997). ავტორი სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას სოციალურ მოძრაობებში ორ ძირითად ასპექტში განიხილავს: სოციალური კაპიტალი პირდაპირ კავშირშია კოლექტიური მოქმედების ხარისხთან და რესურსების მობილიზაციასთან. როგორც წესი, მობილიზაციის პროცესი დამოკიდებულია კავშირებსა და სოლიდარობის განცდაზე და მეორეც, ერთიანი შეთანხმებული მოქმედება ჯგუფების გარეთ უფრო მარტივია, როდესაც არსებობს კავშირები და ურთიერთობები. მაგალითისთვის, ალიანსის შექმნა მაშინ უფრო მარტივდება, როდესაც წევრებს აერთიანებთ საერთო მიზნები, ამოცანები, აქვთ სოლიდარობისა და ურთიერთპატივისცემის განცდა. ამგვარი სახის კავშირები უმნიშვნელოვანესია ამა თუ იმ მოძრაობისთვის რესურსების მობილიზაციის პროცესში, შესაბამისად საგულისხმოა, რომ დაიანის აღნიშნული ნაშრომი მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს მოძრაობის რესურსების მობილიზებას(იქვე, გვ 17)

თითქმის იდენტურ პოზიციას ავითარებს მკვლევარი ფრითი. იგი აღნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალი ახალისებს თანამშრომლობის სურვილს, რაც რესურსების მოძიებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. მსგავსად დაიანისა, ფრითი ეხება კოლექტიურ საქმიანობასაც და ასაბუთებს, რომ სოციალური კაპიტალის დამსახურებით ინდივიდები არ ერიდებიან ურთიერთანამშრომლობას საერთო მიზნის მისაღწევად. იგი ამ პროცესებში ოთხ მნიშვნელოვან კომპონენტს გამოყოფს, ესენია: **ნდობა, ურთიერთგაგება, გაცვლა** და **ნორმები** (Pretty, 2003).

რესურსების მობილიზაციაზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს რესურსების მობილიზაციის თეორია, რომელიც 1970-იან წლებში შემუშავდა მეიერის, ტილისა და მაკარტის მიერ. აღნიშნული კომპლექსურად ხსნის სოციალური მოძრაობების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებსა და ტაქტიკებს. ამ თეორიის მიხედვით, რესურსები აუცილებელია სოციალური მოძრაობების ეფექტურობასა და მდგრადობისთვის. რესურსებში შესაძლოა იგულისხმებოდეს, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. ასევე ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა, წვდომა მედიასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე და რაც მთავარია, პოლიტიკურ შესაძლებლობებზე (McCartyh & Meyer, 1977). რესურსების მობილიზაციის თეორია რამდენიმე ავტორის მიერ კომპლექსურად არის განახლებული, თუმცა მთავარი არსი რჩება უცვლელი, რომ სოციალური მოძრაობების წარმატებასა და ეფექტურობისთვის უმნიშვნელოვანესია მათ მოახდინონ რესურსების ეფექტური მობილიზება და

შეძლონ მათი სწორად განკარგვა. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი რესურსების მობილიზების კომპონენტს სწორედ პოლიტიკური პროცესის თეორიის შემადგენელ ნაწილად განიხილავს. აღნიშნული თეორია ზედმიწევნით ხსნის სოციალური მოძრაობის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: პოლიტიკური შესაძლებლობები, მობილიზება, ფრეიმინგის პროცესი, საპროტესტო ციკლები და რეპერტუარი და სხვა. თეორია ყურადღებას ამახვილებს მოძრაობის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და გარე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტზე (Caren, 2007).

როდესაც ვსაუბრობთ სოციალური მოძრაობის რესურსებზე, მნიშვნელოვანია შევეხოთ უილიამისეულ განმარტებას. მისი განმარტებით რესურსი შესაძლოა იყოს მატერიალური, არამატერიალური, კულტურული, საინფორმაციო, პოლიტიკური, ანუ იმ ყველა ასპექტის ერთობლიობა, რაც მოძრაობას გარკვეული შედეგის მიღწევაში ეხმარება(Williams, 1995). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ უილიამსის აღნიშნული მოსაზრება რესურსებთან დაკავშირებით გარკვეულწილად კავშირშია მაკარტისა და მეიერის კლასიფიკაციასთან, რომლებიც რესურსებს, როგორც მოძრაობის სამოქმედო მექანიზმებს, ისე აღიქვამენ.

სოციალური მოძრაობის ფუნქციონირებისა და რესურსების მობილიზაციის მხრივ უმნიშვნელოვანესია დევიდ მაკდამის პოლიტიკური პროცესის თეორია, რომელიც სოციალური მოძრაობების გაჩენას, განვითარების პერიოდსა და საბოლოო შედეგებს ხსნის. ამ შემთხვევაში, საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რას გულისხმობს მამობილიზირებელი სტრუქტურები. სტრუქტურების მობილიზება პირდაპირ კავშირშია რესურსების დაგროვების პროცესთან. როგორც წესი იგულისხმება: 1. **ფორმალურ ჯგუფებთან ურთიერთობა** - ეს შესაძლოა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები; ადვოკატირების ჯგუფები და სხვა; 2. **არაფორმალური კავშირები**: ურთიერთობები მეგობრებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კონკრეტული თემით დაინტერესებულ ხალხთან; 3. **კომუნიკაცია და კოორდინაცია:** მოძრაობები ქმნიან კონკრეტულ არხებს ინფორმაციის გაზიარებისთვის, მხარდამჭერების მობილიზებისთვის და სხვა; **4. კოალიციები,** რაც ხელს უწყობს მოძრაობის გაფართოვებას, გაძლიერებასა და რესურსების ერთობლივი ძალისხმევით მობილიზებას (Caren, 2007).

რესურსების ფორმირების პროცესში აქტივისტთა კავშირების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ტეილორი, რომელიც ქალთა მოძრაობის მაგალითზე განიხილავს სოციალური კაპიტალისა და კოლექტიური აქტივობის ურთიერთკავშირს. ავტორი XX საუკუნის 50-იან წლებში ფემინისტური ქსელების გააქტიურებას სწორედ ქალ აქტივისტთა ურთიერთობებთან აკავშირებს. ფაქტია, რომ ავტორთა დიდი ნაწილი რესურსების მობილიზაციის პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: საერთო იდენტობა, კავშირები, ნდობა და სოლიდარობის განცდა.

მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმის შესახებ, რომ ფორმალური თუ არაფორმალური კავშირები აჩქარებს რესურსების მობილიზაციის პროცესს. დაინსი ხაზს უსვამს ადამიანური რესურსის მნიშვნელობას კატაკლიზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონკრეტულად კი, განხილულია ქარიშხალი „კატრინას“ მაგალითი, სადაც საუბარია, რომ ძლიერი სოციალური

კავშირები და სოლიდარობის განცდა იყო ის მთავარი ფაქტორები, რამაც ადამიანები გააერთიანა კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლაში (Dynes, 2002).

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია განვსაზღვროთ რესურსების მობილიზების მთავარი მახასიათებლები მოძრაობაში „რიონის ხეობის გადარჩენისთვის". **კვლევის ამოცანებია:** 1.შესწავლა იმისა, თუ როგორ შეძლეს თავდაპირველად სოციალური მოძრაობის წევრებმა ორგანიზება და რესურსების მობილიზაცია; 2. აღნიშნული სოციალური მოძრაობის რეპერტუარზე დაკვირვება; 3. მოძრაობასთან დაკავშირებული სოციალური ქსელების დაკვირვება 4. სოციალური კაპიტალისა და სოციალური მოძრაობის კავშირის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **საკვლევი კითხვა** შემდეგნაირად ფორმულირდა:

1.რა თავისებურებებით ხასიათდება რესურსების მობილიზების სტრატეგია აღნიშნულ სოციალურ მოძრაობაში?

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია დევიდ მაკდამის პოლიტიკური პროცესის თეორია, რომელიც დეტალურად ხსნის სოციალური მოძრაობის საპროტესტო ციკლებსა და რესურსების მობილიზაციის პროცესს. შესაბამისად, მოძრაობის რესურსების მობილიზების სტრატეგია გაანალიზებულია აღნიშნული კონცეფციის მიხედვით.

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის მეთოდები.** კონკრეტულად, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით ჩატარდა 9 ინტერვიუ მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის" ლიდერებთან და წევრებთან, აღნიშნული დარგის ექსპერტებთან და მოძრაობის პარტნიორ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან. მომზადდა ინტერვიუების ტრანსკრიპტი. ნაშრომის საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, გამოყენებულია არაალბათური, მიზნობრივი **შერჩევა.** თითოეული რესპონდენტი შერჩეულია მიზნობრივად, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. საკვლევი საკითხის უკეთ გასაანალიზებლად და ნაშრომის მიზნების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ადამიანების გამოკითხვა. ყველა რესპონდენტისგან მიღებულია თანხმობა და ამდენად, კვლევის ეთიკა დაცულია.

კვლევის ლიმიტი: ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სოციალური მოძრაობის სხვადასხვა ტიპის რესურსების მობილიზაციის სტრატეგია და მექანიზმები. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში არ გაანალიზებულა ჰესების მშენებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მის კავშირი მოძრაობასთან "რიონის ხეობის მცველები". კვლევა არ მოიცავს მოძრაობის

წარმატება/წარუმატებლობის შეფასებას და მისი ეფექტურობის განსაზღვრას, ასევე არ არის გაანალიზებული მოძრაობის მიერ რესურსების მობილიზაციის შედეგები.

რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის ანალიზი - კვლევის შედეგები

მოძრაობის მიერ რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის განხილვამდე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა რიონის ხეობაში 500 დღიანზე მეტი უწყვეტი პროტესტი. მოძრაობა საზოგადოებაში საწყის ეტაპზე დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობდა, ასევე მცირე იყო წევრთა რაოდენობაც, რაც 5 ადამიანს შეადგენდა. *„მოძრაობაში პრაქტიკულად არ არსებობდა საპროტესტო მუხტი, რასაც შესაძლოა ამგვარი ხანგრძლივი და უწყვეტი პროტესტი გამოეწვია“* (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერთან, 06.05.2023).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რიონის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში, რამდენადაც მოსახლეობა არ იცნობდა პროექტის დეტალებს, არ ჰქონდათ წარმოდგენა, თუ რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები შესაძლოა მოეტანა ამას ხეობისთვის (სიღრმისეული ინტერვიუ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელთან, 05.05.2023). მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერებმა თავიდანვე დააფიქსირეს პროტესტისა და ბრძოლის მშვიდობიანი გზა, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, თუკი მოძრაობის ბრძოლის ფორმა იქნებოდა უშინაარსო და მხოლოდ ძალადობრივ მეთოდებზე აგებული, ამით ხელისუფლებისა და სხვა ჯგუფების მხრიდან, უფრო მარტივად მოხერხდებოდა მოძრაობის მარგინალიზება და სამოქალაქო საზოგადოების ველიდან გაწევა. გარდა ამისა, ძალადობრივი მეთოდების შემთხვევაში უფრო დიდი იყო შანსი, რომ ვერ შედგებოდა საზოგადოების კონსოლიდაცია „ნამახვანჰესის“ პროექტის გარშემო და სულ უფრო გაჭირდებოდა რესურსების მობილიზება.

აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი ხაზის პარალელურად, მოძრაობისთვის რესურსების მობილიზება იყო უმნიშვნელოვანესი დეტალი, რომლის გარეშეც დასახული მიზნის მიღწევა, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდებოდა. საგულისხმოა, რომ პროტესტის მშვიდად წარმართვასა თუ რესურსების მობილიზების პროცესში უდიდეს როლს ასრულებდა ის წარსული გამოცდილება, რაც მოძრაობის ზოგიერთ ლიდერს გააჩნდა. *“დაბადებიდან დამყვა ეს პრობლემა, მეც და მთლიანად ჩემს ოჯახს, ამიტომაც არის ჩემი შვილიც ამ მოძრაობის ერთ-ერთი წევრი“* (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერთან, 03.05.2023).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოძრაობის პირველი ნაბიჯები, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებულობასთანაა დაკავშირებული. **კომუნიკაციის კუთხით, ადამიანური კაპიტალის გასაძლიერებლად,** მოძრაობა საზოგადოების რამდენიმე სეგმენტთან მუშაობდა. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ მოძრაობა თავიდანვე ორიენტირებული იყო შინაარსის გამორკვევაზე. წევრებს გააჩნდათ გარკვეული კითხვები, რითიც უპირისპირდებოდნენ „ENKA”-ს წარმომადგენლობასა და *ხელისუფლებას. „ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრებოდნენ აქტიურად და ინფორმაციული ჯაჭვის მეშვეობით საზოგადოებაში მღელვარებას ქმნიდნენ, შესაბამისად იზრდებოდა ადამიანური*

რესურსი და მათი მხარდამჭერების რაოდენობა“ (სიღრმისეული ინტერვიუ „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ წარმომადგენელთან, 07.05.2023). ცალკე განხილვის საგანია **ინტენსიური შეხვედრები** ადგილობრივი თუ სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდობასთან, სტუდენტებთანა და „სტუდენტური პარლამენტის“ წარმომადგენლობასთან. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოძრაობის ლიდერები საკმაოდ აქტიურად მართავდნენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებსა და კონფერენციებს „ნამახვანჰესის“ პროექტის შესახებ და გარემოსდაცვით საკითხებზე, რითიც ცდილობდნენ მათ დაინტერესებას: *„აი, ამ ეგიდით ძალიან ბევრი შეხვედრა ჩაინიშნა სტუდენტებთან, ჩვენი ყოველი მსგავსი ქმედება იწვევდა უფრო მეტი ადამიანის კონსოლიდაციას იმ საკითხის შესახებ, რასაც თავისუფალი აზრის გამოხატვა ჰქვია.“* (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ წევრთან, 08.05.2023).

საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა ის ტენდენციაც, რომ უწყვეტი პროტესტის ფონზე მოძრაობის ლიდერები საზოგადოების მაქსიმალური მხარდაჭერის მობილიზებას რამდენიმე გამორჩეული ფორმით ცდილობდნენ. გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა, აქტივისტები ცდილობდნენ, რომ საზოგადოებაში **კოლექტიური მოქალაქეობრივი ვალდებულებების გამოღვიძებასა და სახელმწიფოებრივად აზროვნების მნიშვნელობაზე ხაზგასმას.** შესაძლოა ითქვას, რომ „რიონის ხეობის მცველების“ ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების დარწმუნება, რომ ეს არ იყო მხოლოდ **კერძო პრობლემა** და მას ჰქონდა ბევრად უფრო დიდი მასშტაბი და მნიშვნელობა. ამას ცხადყოფს ვარლამ გოლეთიანის არაერთი განცხადება, რომელითაც საზოგადოებაში კოლექტიური მოქმედების გამოღვიძებას ცდილობდა (რეხვიაშვილი, 2022).

საყურადღებოა ისიც, რომ განსახილველი საკითხები ადგილობრივი მოსახლეობისთვის იყო განსაკუთრებულად **სენსიტიური**, რადგან საქმე ეხებოდა მამა-პაპისეულ სახლ-კარს, მიწასა და წინაპრების საფლავებს. რა თქმა უნდა, აღნიშნულიც ქმნიდა მოსახლეობაში სოლიდარობის განცდასა და მხარდაჭერის სურვილს: *„ჩვენს ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური გარემო არის დაძაბული და მანიპულაციური ველია, შინაარსზე საუბარმა და დეტალებზე **თანმიმდევრულობამ**, მოძრაობის მიმართ ბევრ ადამიანს სიმპათია გაუჩინა“* (სიღრმისეული ინტერვიუ „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ წარმომადგენელთან, 07.05.2023). ინფორმაციის გავრცელებასა და ადამიანური ძალის მობილიზებაზე საუბრისას აღსანიშნავია ისიც, რომ მოძრაობის კარი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის ღია იყო. მოძრაობის მხრიდან პროტესტის კერაში, რიონის ხეობასა თუ სხვადასხვა ქალაქში გამართულ აქციებზე ლიდერებისგან იყო მოწოდება, რომ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად სქესის, ეთნოსისა და რელიგიური კუთვნილებისა, შეეძლო მათი მხარდაჭერა. ამას მოწმობს მაკა სულაძის ერთ-ერთი განცხადებაც, რითიც უარი თქვა აქციებზე ჯვრის ტარებაზე (რადიო თავისუფლება, 2021).

რა თქმა უნდა, ამ ტიპის ღიაობა და მიმღებლობა წარმოადგენს ადამიანური რესურსის მობილიზების ერთ-ერთ სტრატეგიას, რამაც მოძრაობის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად გაამართლა კიდეც. **ადამიანური რესურსების გაძლიერების** კუთხით მნიშვნელოვან ძალას წარმადგენდა ის ჯგუფი, ვისაც მსგავსი ტიპის პრობლემა საკუთარ თავზე უკვე გამოცდილი ჰქონდა. იგულისხმება სვანეთისა და

პანკისის ხეობის მოსახლეობა, რომელიც „ნამახვანჰესის“ წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

მხარდამჭერთა მობილიზების, ნდობის მოპოვებისა და საერთო საკითხის გარშემო ერის კონსოლიდაციის პროცესში გარკვეულწილად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა **მედია და სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებები.** მაკდამის კონცეფციის მიხედვით, ინფორმაციის გავრცელების არხები მნიშვნელოვან მამობილიზებელ ფუნქციას ითავსებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „რიონის ხეობის მცველები“ პროტესტის პირველ ეტაპზე მედიის მნიშვნელოვან მხარდაჭერას გრძნობდნენ. გარდა რეგიონული მედისაა, მათ აქტიურად აშუქებდა წამყვანი ტელევიზიებიც, თუმცა მათი აქტიურობა დიდხანს არ გაგრძელდა. *„ზოგიერთ ქართულ მედიასაშუალებას სურდა აღნიშნული პროტესტი სათავისოდ გამოეყენებინა, თუმცა უშედეგოდ, რამაც განაპირობა მათ აქციებსა და შეხვედრების გაშუქებაზე უარის თქმა“* (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 10.05.2023).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ „მთისამბები“ და „რეგინფო“ არის ის ორი ონლაინ მედიასაშუალება, რომელიც პროტესტის დასაწყისიდან, თითქმის დასრულებამდე აქტიურად აშუქებდა მოძრაობის ნაბიჯებს, აქციებს, შეკრებებს. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მედიასაშუალებები აქტიურად ამზადებდნენ სხვადასხვა სიუჟეტს, რაც საზოგადოებაში პროტესტისა და ზოგადად, ნამახვანჰესის პროექტის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას ემსახურებოდა. ამის ნათელი მაგალითია „მთისამბების“ მიერ 2020 წელს მომზადებული სიუჟეტი მოძრაობის ლიდერების (ვარლამ გოლეთიანი, მაკა სულაძე, მარიტა მუსელიანი) შესახებ, რომელშიც ზედმიწევნითაა წარმოდგენილი თითოეული გმირის პორტრეტი და ის გზა, რაც მათ განვლეს პროტესტის დაწყებიდანვე (მთის ამბები, 2020).

დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, სულ უფრო და უფრო იზრდება **სოციალური ქსელების როლი,** განსაკუთრებით ინფორმაციის გავრცელების კუთხით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოძრაობა 2019 წლიდან აქტიურად იყენებდა და დღემდე იყენებს ფეისბუქგვერდს სახელწოდებით „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“. აღნიშნულის შესწავლით დგინდება, რომ იგი ჯერ კიდევ 2018 წლის 19 ივნისს არის შექმნილი. ასევე გამოიკვეთა ის დეტალი, რომ უწყვეტი პროტესტის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მოძრაობის მთავარმა სახემ, ვარლამ გოლეთიანმა გააქტიურა ფეისბუქგვერდი, რაც გამოიხატება ყოველდღიურ ე.წ „ლაივ“ ჩართვებსა და „ნამახვანჰესის“ პროტესტის გარშემო აქტუალურ საკითხებზე საუბრით. ამ პერიოდში გვერდს დაახლოებით 10 000 გამომწერი ჰყავდა, ხოლო დღეს მათი რაოდენობა დაახლოებით 121 000-ია (რეხვიაშვილი, 2022). ფაქტია, რომ არცთუ ისე დიდ პერიოდში მოძრაობამ სოციალური ქსელით შეძლო გამომწერების მნიშვნელოვანი რაოდენობის მობილიზება. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ ერთგვარი ტრადიცია, რომ უწყვეტი პროტესტის დღის ბოლოს სოციალურ ქსელში ათავსებდნენ კარვების ფოტოს და ურთავდნენ აღწერას, მაგალითისთვის: „478-ე ღამე კარვებში“ (რიონის ხეობის გადარჩენისთვის, 2021).

გარდა ამისა, სოციალური ქსელი მოძრაობის მიერ აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა შეხვედრისა თუ კონფერენციის დასაორგანიზებლად და საზოგადოებამდე ხმის მისაწვდენად. მაკდამის კონცეფციის კავშირი მოძრაობასთან აქაც იკვეთება. „რიონის ხეობის მცველებისთვის“ ეს ერთგვარად წარმოადგენდა **საინფორმაციო არხს,** რომელიც გამიზნული იყო როგორც ადგილობრივი

მოსახლეობისთვის, ისე საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც მოშორებით იყო მოვლენების ეპიცენტრიდან. ყოველდღიური „ლაივ“ ჩართვები საზოგადოებაში, როგორც წესი, აღძრავდა ნდობისა და სოლიდარობის განცდას, რაც მოძრაობას სოციალური კაპიტალის ფორმირებაში დაეხმარებოდა. მოძრაობის მიერ არაფორმალური კავშირების გაფართოვების, ადამიანური რესურსების გაზრდისა და საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების მცდელობის კიდევ ერთ მაგალითს რეგიონებსა თუ დედაქალაქში გამართული **აქციები** წარმოადგენს. კვლევამ ცხადყო, რომ ორგანიზატორები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ პროტესტის ეპიცენტრში აქციების გამართვას და მუდმივად ცდილობდნენ ურთიერთობას საქართველოს ისეთ დიდ ქალაქებთან, როგორიცაა ქუთაისი და თბილისი (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ წევრთან, 13.05.2023). სწორედ ამის მაგალითია ქუთაისში ორჯერ გამართული მრავალათასიანი აქცია, რომელმაც საზოგადოების უპრეცედენტო მობილიზება და მხარდაჭერა მოიპოვა. ფაქტია, რომ მსგავსი ადამიანური რესურსის მობილიზება განპირობებული იყო საზოგადოებაში არსებული ნდობითა და სოლიდარობის განცდით. აქციებთან დაკავშირებით კვლევის პროცესში კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. *„რამდენჯერაც პოლიცია ძალადობრივად ეცადა მოძრაობის აქციის დაშლასა და კარვების დემონტაჟს, იმდენჯერ მოხერხდა ბევრად უფრო მეტი მხარდამჭერისა და თანამოაზრის მობილიზება“* (სიღრმისეული ინტერვიუ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წარმომადგენელთან, 09.05.2023). აღნიშნული ფაქტი მოწმობს იმას, რომ საზოგადოებაში ნამახვანჰესის პრობლემა აღქმული იყო, როგორც საზოგადო და არა კერძო საკითხი, ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო იდენტობას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიურ მხარდაჭერაში ვლინდებოდა.

ადამიანური რესურსების მობილიზების პროცესში, გარდა ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებებისა, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა **საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილს.** კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ნამახვანჰესის პროექტისა და ზოგადად „რიონის ხეობის მცველებთან“ დაკავშირებით სასულიერო წრეებში დიდი განხეთქილება და აზრთა სხვადასხვაობა იყო (სიღრმისეული ინტეირვიუ ექსპერტთან, 10.05.2023). საგულისხმოა, რომ აქტივისტების დარბევას გამოეხმაურა ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე, რომელმაც დაგმო მსგავსი ქმედება.

ამის საპირწონედ, ქუთაისის სამღვდელეობის ნაწილი წინააღმდეგი იყო თავად მოძრაობისა და მათი მოთხოვნების და ამას ღიადაც აფიქსირებდნენ (სიღრმისეული ინტერვიუ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელთან, 05.05.2023). მიუხედავად არსებული აზრთასხვადასხვაობისა, ეკლესიის როლი ადამიანური კაპიტალის მოზიდვაში მაინც მნიშვნელოვანია. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ფართო თუ მცირე აქციებზე ლიდერებისა და აქტივისტების გვერდით იდგნენ სასულიერო პირები და ეს ქმედებები და მათი მოწოდებები, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი მრევლის დიდ ნაწილში იწვევდა სოლიდარობის განცდას აქტივისტების მიმართ. *„საყურადღებოა, რომ მოძრაობის ერთ-ერთი სახის, ვარლამ გოლეთიანის მამა წარმოადგენს ლეჩხუმის 28 სოფლის მღვდელს, რაც მოძრაობას ეკლესიასთან გარკვეულწილად აკავშირებს.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 13.05.2023). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობას ამ მხრივ მხარდამჭერების მობილიზების პრობლემა არ გააჩნდა. ნათელია ისიც, რომ ქუთაისსა თუ დედაქალაქში გამართულ აქციებზე ფართომასშტაბიან მხარდამჭერებს შორის დიდი წილი სწორედ კონსერვატიულად მოაზროვნე

საზოგადოებაზე მოდიოდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია. აღსანიშნავია ისიც, რომ ნებით თუ უნებლიეთ, მოძრაობას პროტესტის დასაწყისიდან, დასასრულამდე თან სდევდა რელიგიური შინაარსი. ამას მოწმობს აქტივისტების მიერ სოფელ ნამოხვანში ჯვრის აღმართვის ფაქტიც (ფორტუნა, 2020).

მაკადამის მიხედვით, რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის ანალიზისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია **ფორმალურ ჯგუფებთან გაერთიანება,** რაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას გულისხმობს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პროტესტის განმავლობაში „ხეობის მცველებს“ გარემოსდაცვით საკითხებში აქტიურ დახმარებას უწევდა „მწვანე ალტერნატივა“ და გაერთიანება „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“, პარალელურად, მოძრაობას იურიდიულ კონსულტაციას უწევდა „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ და „საია“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები მოვლენებს არათუ თბილისიდან აკვირდებოდნენ, არამედ საკმაოდ ხანგრძლივ დროს კარვებში ატარებდნენ (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ წევრთან, 12.05.2023). მოძრაობისთვის ეს ორგანიზაციები უკვე იყო ერთგვარი რესურსი, რომელიც თავის მხრივ, სხვა მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების მოპოვებაში ეხმარებოდა. მოძრაობის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ არ გააჩნდათ რაიმე განსაკუთრებული კვალიფიკაცია და ცოდნა გარემოსდაცვით ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ამის ფონზე მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერთან, 03.05.2023). ორგანიზაციული რესურსი ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობდა. „მწვანე ალტერნატივასა“ და გაერთიანება „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ მოძრაობას ინტელექტუალურ რესურსს სთავაზობდნენ (სიღრმისეული ინტერვიუ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წარმომადგენელთან, 09.05.2023). მაგალითისთვის ეს იყო გეოლოგიური კვლევები და ექსპერტიზა, ანგარიშები, დოკუმენტები, ფოტო - ვიდეო მტკიცებულებები და სხვა. რაც შეეხება „საიასა“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრს“ ისინი ძირითადად იურიდიულ დახმარებას უწევდნენ მოძრაობას(რეხვიაშვილი, 2022).

მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ რესურსების მობილიზების სტრატეგიის შესწავლისას მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, მატერიალური რესურსებიც. უწყვეტ პროტესტამდე და მის საწყის პერიოდში, მოძრაობას თითქმის არ ჰქონდა არანაირი ფულადი რესურსი. *„პროტესტის დაწყებისას ჩვენ არანაირი ფულადი რესურსი არ გვქონია. პირველად ეს იყო ადგილობრივი დახმარება, შემდგომ ემიგრანტების უდიდესი ჩართულობა.“* (სიღრმისეული ინტერვიუ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ ლიდერთან, 06.05.2023). აღსანიშნავია, რომ პროტესტის საწყის ეტაპზე თავად **ადგილობრივი მოსახლეობა** უზრუნველყოფდა აქტივისტებს საკვებით, წყლითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით. პირველი სამხედრო კარავი, სწორედ თბილისიდან ჩასული აქტივისტების ხარჯით გაიშალა ხეობაში (სიღრმისეული ინტერვიუ „სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის“ წარმომადგენელთან, 07.05.2023). მეორე მხრივ, უდიდესია **ემიგრანტების როლი,** რომლებმაც პერმანენტული გადარიცხვებით შეძლოს მოძრაობის ხანგრძლივი დაფინანსება. შესაძლოა ითქვას, რომ საერთო იდენტობის აღქმისა და სოლიდარობის განცდამ განაპირობა ემიგრანტების მსგავსი მხარდაჭერა.

ცხრილი N1 რესურსების კლასიფიკაცია მოძრაობაში „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“

მატერიალური (არაადამიანური)	არამატერიალური (ადამიანური)
ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობანი;	ფართომასშტაბიანი აქციების ორგანიზება როგორც რეგიონში, ასევე მის გარეთ. (ძირითადად დიდ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)
პირველადი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთებით აქტივისიტების უზრუნველყოფა	საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან
ემიგრანტების შემოწირულობა	სხვადასხვა მედიასაშუალებისა და სოციალური ქსელის გამოყენება. მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობა სოციალურ ქსელ „Facebook”- ში
	არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და დახმარება სამართლებრივ და გარემოსდაცვით საკითხებში.
	საქართველოს სხვა რეგიონებიდან მსგავსი პრობლემის მქონე მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ემიგრაცია არა მხოლოდ თავად იყო მატერიალური რესურსის წყარო, არამედ ისინი მონაწილეობდნენ ადამიანური ძალის მობილიზებაში. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ევროპის ემიგრაციამ შექმნა ფეისბუქგვერდი, რომლის საშუალებითაც ევროპის სხვადასხვა ქალაქში აქციები დაანონსა (რეხვიაშვილი, 2022).

ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ რესურსების მობილიზაციის სტრატეგია საკმაოდ კომპლექსური და მრავალფეროვანია, რასაც კვლევის პროცესში გამოვლენილი დეტალებიც მოწმობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოძრაობის “ბორდში” მატერიალური რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით წინასწარ, კონკრეტული სამოქმედო გეგმა არ ყოფილა გაწერილი. რაც შეეხება არამატერიალურ, ადამიანურ რესურსებს, მოძრაობის შესწავლის შემდგომ შესაძლოა ითქვას, რომ იგი სამ ძირითად თავისებურებას ეფუძნება:

1. **მშვიდობიანი პროტესტი და ამის ფონზე საზოგადოების ინფორმირება;**

2. ფართო ფორმალური თუ არაფორმალური კავშირების გაჩენა

3. საზოგადოების კონსოლიდაციისა და მხარდაჭერის ფონზე მატერიალური რესურსების მოპოვება.

დასკვნა

კონსოლიდირებული დემოკრატიის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოში არსებობდეს სხვადასხვა მექანიზმი სოციალურ-პოლიტიკური უფლებების განხორციელებისთვის. სწორედ სოციალური მოძრაობები წარმოადგენენ ერთგვარ ბერკეტსა და გზას გარკვეული მიზნის მისაღწევად. გამონაკლისი არც საქართველოა, რასაც აღნიშნული მოძრაობაც ნათლად ადასტურებს. „ნამახვანჰესის“ პროექტის საწინააღმდეგო მოძრაობამ საქართველოს თანამედროვე ისტორიაში უწყვეტი და ხანგრძლივი პროტესტის უპრეცედენტო შემთხვევა დაამკვიდრა.

“ნამახვანჰესის” პროექტის განხორციელების საკითხი დღის წესრიგში 2021 წელს დადგა, რამაც “რიონის ხეობის მცველების” არსებობას დაუდო საფუძველი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აქტივისტები არა მხოლოდ ვიწრო, არამედ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აპირებდნენ საქმიანობის წარმართვას.

არაერთი ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ სოციალური მოძრაობისთვის მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარკვეული მიზნების განხორციელების პროცესში, ამ მხრივ გამონაკლისი არც აღნიშნული მოძრაობაა.

კვლევამ ცხადყო, რომ "რიონის ხეობის მცველები” განსაკუთრებულ აქცენტს ადამიანურ რესურსებზე აკეთებდნენ, რაც ფორმალური თუ არაფორმალური კავშირების ძიებაში გამოიხატებოდა. სოციალურ ქსელებში აქტიურობით, ხალხმრავალი აქციებითა და დემონსტრაციებით, საერთო, ეროვნული პრობლემის დასმით - მოძრაობის წევრები ცდილობდნენ, რომ მაქსიმალურად გაევრცელებინათ სათქმელი და ამით ადამიანური კაპიტალი მოეზიდათ. მნიშვნელოვანია ითქვას არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი როლი, რომელსაც თავად აქტივისტებიც აღნიშნავენ. ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები თითქმის მთელი უწყვეტი პროტესტის განმავლობაში აქტივისტებსა და ლიდერებს აწვდიდნენ სამეცნიერო ცოდნას, რაც მოძრაობას საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის აუცილებლად სჭირდებოდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ მოძრაობას პროტესტის დაწყებისას რესურსების მობილიზაციის კონკრეტული სტრატეგია წინასწარ შემუშავებული არ ჰქონია, რასაც მოძრაობის წევრებიც ადასტურებენ. მოძრაობის ლიდერების თითოეული ქმედება რაც შეიძლება მეტი თანამოაზრის შემოერთებისკენ იყო მიმართული. საყურადღებოა ისიც, რომ ამ მხრივ მუშაობაში “რიონის ხეობის მცველებს” მნიშვნელოვანი თანადგომა და დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა და მედიამ გამოუცხადა, რაც მაკდამის თეორიის მიხედვით, სოციალური მოძრაობისთვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

ადამიანური რესურსების პარალელურად, სოციალური მოძრაობისთვის, მიზნისკენ სწრაფვის პროცესში, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ასევე მატერიალური რესურსებიც წარმოადგენს. მოძრაობის "რიონის ხეობის გადარჩენისთვის" შემთხვევაში, მატერიალური რესურსების ძირითად წყაროს ადგილობრივი მოსახლეობა და ემიგრანტები წარმოადგენდნენ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ პროტესტის საწყის ეტაპზე კარვებისა თუ სხვა პირველადი საჭიროების ნივთების ორგანიზებაში დიდი როლი მიუძღვის სწორედ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც იზიარებდა მოძრაობის შეხედულებებს და უწყვეტ პროტესტშიც მასობრივად ერთვებოდა. საინტერესოა ემიგრანტების საკითხი, რომლებმაც "რიონის ხეობის მცველების" ფინანსური დახმარება საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნიეს და თვითორგანიზების მეშვეობით აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ.

საყურადღებოა ისიც, რომ ნაშრომის თეორიული ჩარჩო, დევიდ მაკდამის კონცეფცია, ნათლად ხსნის და განსაზღვრავს აღნიშნული მოძრაობის რესურსების მობილიზების მთავარ მახასიათებლებს: 1. **ფორმალურ ჯგუფებთან ურთიერთობა** (არასამთავრობო ორგანიზაციები); 2. **არაფორმალური კავშირები** (სამოქალაქო საზოგადოება, ადგილობრივი მოსახლეობა); 3. **კომუნიკაცია და კოორდინაცია**(სოციალური ქსელები, ბეჭდური და ტელემედია); 4. **კოალიციები** - კვლევამ ცხადყო, რომ "რიონის ხეობის მცველების" შემთხვევაში აღნიშნული მახასიათებლების დიდი ნაწილი გამოვლინდა, რაც მიმართული იყო მოძრაობის გაძლიერებასა და გაფართოებისკენ.

ბიბლიოგრაფია

კაჭკაჭიშვილი, თ. (2021, მარტი 23). „ნამოხვანის პროტესტი“ თბილისისკენ მიემართება.

https://www.radiotavisupleba.ge/a/31269040.html?fbclid=IwAR3VshgBkbLrz9edvgzq86mAD3xP2dBuKuCOxlOTogDWfSfPh-S8Gx6UiWk

კობერიძე, თ. (2016). სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე: საქართველოს მაგალითი, ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

მთის ამბები. (2021, მაისი 13). “ნამახვან ჰესის” ისტორია - რა არის მთავარი პრობლემა?

https://mtisambebi.ge/news/ecology/item/1303-%E2%80%9Enamoxvani-besis%E2%80%9C-istoria-ra-aris-mtavari-problema

რადიო თავისუფლება. (2021, მაისი 25). მაკა სულაძე აქციაზე მყოფი სხვა რელიგიის წარმომადგენლების პატივსაცემად დიდი ჯვრის ტარებაზე უარს ამბობს.

https://www.radiotavisupleba.ge/a/31273135.html

რეხვიაშვილი, ლ. (2022). რიონის ხეობის ბრძოლა პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ველში: სადავო ინფრასტრუქტურები და განვითარების პოლიტიკა.

რეხვიაშვილი, ჯ. (2017). პროტესტის ცვლილება 21-ე საუკუნის საქართველოში, რადიო თავისუფლება.

https://www.radiotavisupleba.ge/a/protestis-tsvlileba/28402567.html

რიონის ხეობის გადარჩენისთვის. (2021). 478-ე ღამე კარვებში. https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/posts/pfbid0N9b5SVDpSbTjR6jLmzJbmdeuymxVpBfsmxgpk2TugBQmeBWak7UgGeYmVBLuMpy1l

ფორტუნა (2020, ოქტომბერი 29). პროტესტი ნამოხვანის ჰესების კასკადის წინააღმდეგ: მოსახლეობამ მშენელობის ადგილზე ჯვარი აღმართა.

https://fortuna.ge/fortuna/post/protesti-namokhvanis-hesebis-kaskadis-winaaghmdeg-mosakhleobam-msheneblobis-adgilze-jvari-aghmarta

Caren, N. (2007). Political Process Theory. The Blackwell Encyclopedia of Sociology.

https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/9781405165518.wbeosp041

Diani, M. (1992). The Concept of social Movement. The Sociological Review.

https://sci-hub.se/https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1111/j.1467-954X.1992.tb02943.x?journalCode=sora

Diani, M. (1997). Social Movements And Social Capital: A Network Perspective on Movement. Outcomes. Mobilization.

https://users.ssc.wisc.edu/~oliver/SOC924/Articles/Diani1997NetworksOutcomes.pdf

Dundua, S & Karaia, T. (2019). "No to Khudoni hydro power plant!" Social Movement in Georgia. Studia politica: Romanian Political Science Review.

Dynes, R. (2002). THE IMPORTANCE OF SOCIAL CAPITAL IN DISASTER RESPONSE. University of Delaware. https://udspace.udel.edu/server/api/core/bitstreams/1a7260c4-2c8f-4c8b-95e8-19104f11a4b9/content

Erdogan, M. (2010). Social Capital and Civil Participation. International Journal of Social Sciences and Humanity Studies. https://www.sobiad.org/eJOURNALS/journal_IJSS/arhieves/2010_2/09melike_erdogan.pdf

Hakim, I. & Kosandi, M. (2018). Political Opportunity, Mobilizing Structure, and Framing Process in Social Movement to Demand Special Autonomy in Yogyakarta 2010-2012. 2nd International Conference on Social and Political Development.

https://shorturl.at/GIJU0

McCarthy, J. & Zald, M. (1977). Resource Mobilization and Social Movements: A partial Theory. American Journal of Sociology. https://users.ssc.wisc.edu/~oliver/SOC924/Articles/McCarthyZald1977.pdf

Pretty, J.(2003). Social Capital and the Collective Management of Resources. American Association for the Advancement of Science.

https://www.jstor.org/stable/3835714

Williams, H.(1995). Constructing the Public Good: Social Movements and Cultural Resources. Social problems.

https://www.jstor.org/stable/3097008